№3/964-11.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

18 მაისი 2011 წელი

თბილისი

შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე თამარ ონიანი

სხდომის მდივანი ანა ჩხიკვაძე

მოსარჩელე	ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"
წარმომადგენლები	ნინო გუჯარაიძე, ირმა მახათაძე
მოპასუხე	საქართველოს პრეზიდენტი
წარმომადგენელი	დავით გუგეშაშვილი, თინათინ სირაძე
დავის საგანი	ქმედების განხორციელების დავალება;

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. დაეავალოს საქართველოს პრეზიდენტს საჯარო ინფორმაციის – საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ყველა განკარგულების გადმოცემა, რომლის საფუძველზეც საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს" შორის 2008 წლის 14 მაისს დადებულ ხელშეკრულებაში შეეიდა ცვლილება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2011 წლის 15 მარტს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ" განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს და მოითხოვა საჯარო ინფორმაციის – საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ყველა განკარგულების გადაცემა, რომლის საფუძველზეც საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს" შორის 2008 წლის 14 მაისს დადებულ ხელშეკრულებაში

შეეიდა ცვლილებები. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც გამოიხატა ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს პრეზიდენტის უმოქმედობაში. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივასათვის“ 2011 წლის 15 მარტის განცხადებაზე პასუხი დღემდე უცნობია, რითაც დაირღვა მისი კანონიერი უფლებები და ინტერესები.

2. მოპასუხის პოზიცია

2.1. მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელმა შესაგებელში განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით იქმნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია. ამასთან, „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 ივნისის №562 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-11 ნაწილის „ე“ პუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმისწარმოებისა და საკადრო საკითხთა სამსახურის ფუნქციაა. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს არასათანადო მოპასუხეს.

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. 2011 წლის 15 მარტს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს და მოითხოვა იმ განკარგულებების ასლები, რომლითაც ცვლილებები ან/და დამატებები შეეიდა საქართველოს პრეზიდენტის „ქ. თბილისის, რუსთაველისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში.

3.1.2. მხარეები სადავო არ ხდიან იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ განცხადებაზე მოპასუხის მხრიდან პასუხი არ გაცემულა.

3.1.3. სასამართლომ მოსარჩელეს შესთავაზა მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტის სათანადო მოპასუხით – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციით შეცვლა, რაზედაც მოსარჩელემ უარი განაცხადა. (იხ. სხდომის ოქმი)

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სასამართლო გაეცნო სარჩელს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიაჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ“ საქართველოს

პრეზიდენტის 2005 წლის 30 ივნისის №562 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ" ქვეპუნქტი განმარტავს საჯარო ინფორმაციის არსს – საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

6.2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა. ხოლო ამავე კოდექსის 38-ე მუხლი ავალდებულებს საჯარო დაწესებულებას, უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა.

დადგენილია, რომ 2011 წლის 15 მარტს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ" განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს და მოითხოვა იმ განკარგულებების ასლები, რომლითაც ცვლილებები ან/და დამატებები შეევიდა საქართველოს პრეზიდენტის „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში. აღნიშნული განცხადება დარჩა რეაგირების გარეშე.

6.3. განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეაფასოს სასარჩელო მოთხოვნის მიმართ საქართველოს პრეზიდენტის მოპასუხედ ყოფნის სათანადოობა.

საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში.

საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით იქმნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია. საქართველოს პრეზიდენტის

ადმინისტრაციის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს, ადმინისტრაციის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 ივნისის №562 ბრძანებულების პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია (შემდგომში – ადმინისტრაცია) არის საქართველოს პრეზიდენტის საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშემწყობი კონსტიტუციური ორგანო.

აღნიშნული ბრძანებულების მე-6 მუხლის მე-11 ნაწილის „ვ" პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის – საქმისწარმოებისა და საკადრო საკითხთა სამსახურის ფუნქციაა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ამავე მუხლის მე-20 ნაწილის „ა" პუნქტის თანახმად, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციაა საქართველოს პრეზიდენტისა და ადმინისტრაციის სახელზე წარმოდგენილი მოქალაქეთა თხოვნების, შუამდგომლობების, განცხადებების მიღება, აღრიცხვა და სისტემატიზაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მათი განხილვა, ანალიზი, მათში დასმულ პრობლემათა განზოგადება და ადმინისტრაციის ხელმძღვანელობისათვის შესაბამისი დასკვნების წარდგენა;

ზემოაღნიშნული ნორმების განმარტების შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ფუნქციაა იმ ინფორმაციის უზრუნველყოფა, რომელიც საჯარო ინფორმაციის სტატუსით არსებობს საქართველოს პრეზიდენტთან, **ამასთან, პრეზიდენტის სახელზე შესული ნებისმიერი განცხადება თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილება პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ.**

2011 წლის 15 მარტის ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე მიღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ.

6.4. დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობის გამო მისთვის ქმედების განხორციელების დავალება. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კომპეტენცია განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით და სხვა ნორმატიული აქტებით, აღნიშნული განსაზღვრება გულისხმობს საქართველოს პრეზიდენტის გარკვეული (ადმინისტრაციული ფუნქციების) ადმინისტრაციისათვის გადაცემას. ვინაიდან პრეზიდენტის სახელზე შესული ნებისმიერი განაცხადის მიღება და ხოლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში მათი განხილვა ეევალება საქართველოს პრეზიდენტის ადმინიტრაციას, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, აღნიშნული განცხადება უნდა განეხილა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების, ან ისეთი მოქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე კოდექსის 33[1] მუხლის თანახმად კი, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე

მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისგან.

სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ადგილი აქვს არა საქართველოს პრეზიდენტის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უმოქმედობას.

6.5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტი არ არის ის პირი, ვინც პასუხი უნდა აგოს წინამდებარე სარჩელზე. მოსარჩელე კი არ არის თანახმა, რომ საქართველოს პრეზიდენტი შეიცვალოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციით, შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

7. საპროცესო ხარჯები

მოსარჩელემ სარჩელის აღძვრისას გადაიხადა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მდენად, მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოოდ გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, 24-ე, 33[1] მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 55-ე, 85-ე, 243-ე, 244-ე, 249-ე, 257-ე, 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

2. სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებ: თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან 14 დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მდებარე: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მეშვეობით.

მოსამართლე **თამარ ონიანი**